ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №59 სხდომის ოქმი

2012 წლის 20 იანვარი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
2. უნივერსიტეტის ფარგლებში „მუზეუმის“ სტრუქტურის ფორმირების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
3. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების დოქტორანტის, ზურაბ კეპულაძისათვის (სამეცნიერო ხელმძღვანელი ჯუანშერ ჩქარეული) სადისერტაციო საბჭოსა და რეცენზენტების დანიშვნის საკითხის განხილვა და დამტკიცება;
4. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის სოციალური მეცნიერებების მიმართულების დოქტორანტის, ნინო როდონაიასათვის (სამეცნიერო ხელმძღვანელი გიგა ზედანია) სადისერტაციო საბჭოსა და რეცენზენტების დანიშვნის საკითხის განხილვა და დამტკიცება;
5. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის განათლების მეცნიერებების მიმართულების დოქტორანტის, ნინო შარვაშიძისათვის (სამეცნიერო ხელმძღვანელი შორენა სამაგლიშვილი) სადისერტაციო საბჭოსა და რეცენზენტების დანიშვნის საკითხის განხილვა და დამტკიცება;
6. სემიოტიკის კვლევის ცენტრის შექმნის საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
7. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, თეონა (თეო) ყაველაშვილის წარდგინების განხილვა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის დარბაზის წიგნსაცავში დაცული ფონდების გადარჩევის პროცესში პროფესორების ჩართვის შესახებ, საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
8. ენების ცენტრის გადატანა ბიზნესის ფაკულტეტზე, ინგლისური ენების ცენტრის და ენების ცენტრის გაერთიანება და ენების ცენტრად ჩამოყალიბება;
9. სტუმარი პროფესორის სტატუსის მინიჭება ანდრეი ილარიონოვისა და იური მარავინისათვის;
10. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის გამოცხადება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისა და ბიზნესის ფაკულტეტზე;

11. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წესდებაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
12. 2011 წლის 24 თებერვლის №48 აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით დამტკიცებულ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესის“ მე-10 მუხლში ცვლილებების განხილვა და დამტკიცება;
13. 2010 წლის 23 ივლისის №43 სხდომის ოქმით დამტკიცებულ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებების განხილვა და დამტკიცება;
14. უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია თევზაძე - სხდომის მდივანი;
3. ნიკოლოზ მაღლაფერიძე;
4. გიორგი (გია) ნოდია;
5. ოთარ აბდალაძე;
6. მალხაზ მაყაშვილი;
7. გიგა ზედანია;
8. ლევან ხეთაგური;
9. ზურაბ თავართქილაძე;
10. რევაზ სოლომონია;
11. ივანე მურუსიძე;
12. გიორგი ბახტაძე.

2012 წლის 20 იანვრის აკადემიური საბჭოს ხდომაზე დადგინდა

1. **დადგინდეს** - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის რეორგანიზაცია მოხდეს შემდეგი ფორმით: საინჟინრო ფაკულტეტზე გადავიდნენ არქეოლოგიის და ფიზიკის მიმართულების პროგრამები, სტუდენტები და პროფესორები, სპორტის მიმართულება გადავიდეს პროგრამებითა და სტუდენტებით სპორტის ფაკულტეტზე, ხოლო სხვა დანარჩენი მიმართულება

პროგრამებთან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად გადავიდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ სამაგისტრო და სადოქტორო პოგრამების მიმართულების კურატორობის კუთხით დაინიშნოს სრული პროფესორი ნინო ჯავახიშვილი, სამაგისტრო და სადოქტრო პროგრამების ფაკულტეტის დამხმარე პერსონალი გადავიდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, ცივი ომის შემსწავლელი ცენტრი, ევროპის შემსწავლელი ცენტრი, კულტურული ასტრონომიის ლაბორატორია, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, ბოტანიკის ინსტიტუტი, დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი გადავიდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, პალეოურბანისტული კვლევების ლაბორატორია და შავი ზღვის კვლევითი ცენტრი გადავიდეს საინჟინრო ფაკულტეტზე. ასევე ინსტიტუტებში, ცენტრებსა და ლაბორატორიებში მყოფი პროფესორები სრულად გადავიდნენ შესაბამის ფაკულტეტებზე;

2. **დადგინდეს** - შეიქმნას სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **„საუნივერსიტეტო მუზეუმი“** , სადაც განთავსდება სამუზეუმო ექსპონატები როგორც არქეოლოგიის მიმართულებით, ასევე უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველი მასალები და დოკუმენტები;
3. **დამტკიცდეს** - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკისა და კოსმოლოგიის მიმართულების დოქტორანტის, ზურაბ კეპულაძის სადისერტაციო თემისათვის რეცენზენტები: ზურაბ თავართქილაძე (პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ანზორ ხელაშვილი (პროფესორი, მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ალექსანდრე კვინიხაძე (რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: გიორგი მაჩაბელი (ემერიტუსი), მიხეილ მაზიაშვილი (ასოცირებული პროფესორი), პავლე მიდოდაშვილი (ასოცირებული პროფესორი), ანდრია როგავა (ასოცირებული პროფესორი), თინა კახნიაშვილი (სრული პროფესორი), ზურაბ თავართქილაძე (ასოცირებული პროფესორი). სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ განისაზღვროს პროფესორ-ემერიტუსი გიორგი მაჩაბელი;
4. **დამტკიცდეს** - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის სოციალური მეცნიერებების მიმართულების დოქტორანტის, ნინო როდონაიასათვის (სამეცნიერო ხელმძღვანელი გიგა ზედანია) სადისერტაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: გურამ თევზაძე - ემერიტუსი, ემზარ ჯგერენაია - სრული პროფესორი, ნოდარ ლადარია - სრული პროფესორი, რეცენზენტების შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად: სერგო რატიანი -სრული პროფესორი, მამაუკა ბერიაშვილი - სრული პროფესორი, თამარ ცოფურაშვილი - ასისტენტ-პროფესორი; სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ განისაზღვროს სრული პროფესორი ემზარ ჯგერენაია;

5. **დამტკიცდეს** - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის განათლების მეცნიერებების მიმართულების დოქტორანტის ნინო შარვაშიძისათვის (სამეცნიერო ხელმძღვანელი შორენა საძაგლიშვილი) დამტკიცდეს სადისერტაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ქეთევან მაყაშვილი - პროფესორი, მალხაზ მაყაშვილი - ასოცირებული პროფესორი, თამარ ტალიაშვილი - ასოცირებული პროფესორი. რეცენზენტები განისაზღვროს შემდეგნაირად: მაია წერეთელი - ასისტენტ-პროფესორი, მარინე ჯაფარიძე - ასოცირებული პროფესორი. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნოს მალხაზ მაყაშვილი;
6. **დადგინდეს** - შეიქმნას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „სემიოტიკის კვლევის ცენტრი“, დირექტორად დაინიშნოს ასოცირებული პროფესორი ცირა ბარბაქაძე და ცენტრის შექმნის საკითხი დასამტკიცებლად წარდეგნოს წარმომადგენლობით საბჭოს;
7. **დამტკიცდეს** - მიეცეს უფლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ თეონა (თეო) ყაველაშვილს, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის დარბაზის წიგნსაცავში დაცული ფონდების გადარჩევის პროცესში ჩართოს პროფესორები და წიგნების დახარისხების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოიწვიოს ისინი შესაბამის დარგში საკონსულტაციოდ, დაევალოს ფაკულტეტებს, პროფესორების ჩართულობის კუთხით, ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოთხონის შესაბამისად, უზრუნველყონ დახმარების აღმოჩენა;
8. **დამიტკიცდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული ენების ცენტრი გადავიდეს ბიზნესის ფაკულტეტზე, ბიზნესის ფაკულტეტზე არსებული ინგლისური ენების ცენტრი და ენების ცენტრი გაერთიანდეს და ეწოდოს ენების ცენტრი, ცენტრის დირექტორად დაინიშნოს მარინა ტყებუჩავა, ხოლო მოადგილედ - თინითინ კიღურაძე;
9. **დამტკიცდეს** - მიენიჭოთ სტუმარი პროფესორის სტატუსი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ყოფილ მრჩეველს და ეკონომისტს, ანდრეი ილარიონოვს და კანზასის უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს, იური მარავინს;
10. **დამტკიცდეს** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში გამოცხადდეს მობილობა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების ინტერდისციპლინარული პროგრამების მიმართულებით დოქტორანტურის 2 ვაკანტურ ადგილზე, ხოლო ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულაბით (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, სპორტის მენეჯმენტი major) 10 ვაკანტურ ადგილზე;
11. **დამტკიცდეს** - მოწონებულ იქნას წარმოდგენილი სახით სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში განსახორციელებელი ცვლილებები და წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
12. **დამტკიცდეს** - დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით 2011 წლის 24 თებერვლის №48 აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესის“ მე-10 მუხლში შესატანი ცვლილებები წარმოდგენილი სახით;

13. **დამტკიცდეს** - წარმოდგენილი სახით 2010 წლის 23 ივლისის № 43 სხდომის ოქმით დამტკიცებულ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებები;
14. **დამტკიცდეს** - მოწონებულ იქნას უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებები წარმოდგენილი სახით, ცვლილებები ძალაში შევიდეს იმ შემთხვევ აში, თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან მოხდება ამ საბჭოზე განხილული წესდების ცვლილებების დამტკიცება, ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს აღნიშნულის გათვალისწინება დებულების დამტკიცების დროს.

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

მაია თევზაძე